

მარტინ ჭიათურე
გამოცემის დღე

ნაკარისი



ვაკარისი ბაზობი და შეარჩევა

ი ვ ლ ი ს ი

№ 14

1910

მარტინ ჭიათურე

წელი 1910 გენერალი

ମନ୍ଦାରଶିଳ୍ପି

<u>I</u> — ଯାପାଞ୍ଚ ଲାଙ୍ଘନି, — ଶ୍ରୀ କରନ୍ତିକାନ୍ତିରାମାଚାର୍ଯ୍ୟଙ୍କିତିରେ,	3
<u>II</u> — ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ ପାତ୍ରର ପରିଵାର, — ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣରେ,	4
<u>III</u> — ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣର ପରିବାର, — ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣରେ,	11
<u>V</u> — ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣର ପରିବାର, — ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣରେ,	17
<u>IV</u> — ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣର ପରିବାର, — (ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣରେ),	20
<u>VI</u> — ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣର ପରିବାର, — (ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣରେ),	21
<u>VII</u> — a) ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣର ପରିବାର, — b) ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣର ପରିବାର,	24





70000000 80-VI.

№ 14

03 ღ 060, 1910 წ.



ტფილისი, ელექტრონის სტანდა წიგნების გამოშტატელ ქართველობის ამხანაგობის .

ଢିନ୍ଦାର କବ.

I—ଯାପାନୀ ଦା ରା,—ଭ୍ରମିତ, —ଶ୍ରୀ କୁରୁତ୍ୱପ୍ରଦାଶ୍ଵରାଜୀ, 3
II—ନୃପାଳ କାଲେପୁରୀଙ୍କର,—ଜାଣିବା.....	4
III—ରାଗଗାନ ଗାନ୍ଧିନ୍ଦା କ୍ଷେତ୍ରପାଦ ଶୂରୁତ୍ୱରେ,—(ତାରଗମିନ୍ଦା) ଜାଣିବା.....	11
V—ମୃଦୁ ଦା ମନ୍ଦିର, —ଭ୍ରମିତ (ଶତଭାନ୍ଦିକାରୀ), ତଥା କୁନ୍ତଲେଖାକବି, .	17
IV—ତୁମିପୁରୀଙ୍କର ଦା କାର୍ତ୍ତା,—(ତାରଗମିନ୍ଦା) ଅଭ୍ୟାସ କୁନ୍ତଲେଖାକବି, .	20
VII—ବ୍ୟାଲେଖିଲ ସାକ୍ଷରତ୍ନାମ, —(କୁନ୍ତଲେଖାକବି), ଏ. କାନ୍ତପାନା.....	21
VII—ବ) ଗାଥିକାନା, —ବ) ରେଖାଶ୍ରୀ ଦା ବଳୀନା	24





კავაჩო ღა ია.



თორცჭემა იამ მქენიდორი ბინა
გაიკეთა ბუჩქის ძირსა;
მწერს ნიავი თავს დაჭეროდა,
დილით ნამი ჭბანდა პირსა.

ძორი-ახლო, გაძლილს ვეღწე,
გადებალა მზისთვის გული
მწვერ ეაგანის, კისია გულში
იურ მხოლოდ სისარული.

მიუბრუნდა ერთხედ იას
და დაუწეო საუბარი:
„მითხარ, იავ, რად დაიხშე
„მენის სელით ლხენის ქარი?

„მეს ვერ ჰქედავ, ვერვინ გხედავს,
„ფუჭი არის ებ არსება;
„რაღად გინდა სილამაზე,
„მეუმნევლად თუ დაგრჩება?“

გაიდიმა ნაზად იამ:
„მაგისი არ მეშინიან;
„სილამაზის მმებნელები
„ბუჩქებშიაც მიმოვნიან.“

შ. ქართველი შვილი





ნუცას კოლექციები.



ნენისთვე დგებოდა. პატარა მოსწავლენი ფაცი-
ულით მიემურებოდნენ ქალაქისაკენ, სასწავლე-
ბილში არ დაგვიდანდეთო. პატარა ნუცაც აგერ-
ორის დღის ჩამოსულია ქალაქში. ახლა თავის
ტოლ მეზობელ ბავშვებშია და ეველანი დიდის
ხალცით შესცეკრიან სოფლიდან დაბრუნებულ
ნუცას.

— უჲ, რა გაძავებულა ნუცა! — ეუბნება ერთი მეორეს.

— ხელ-პირი ისე დახწევია შზისაგან, თითქო ბოშაათ.
,ხა ხა, ხა, ხა! — ეისკისებდნენ მისი ტოლები და ეველანი
ახლოს ებჯოდნენ-კია, რომ სოფლიდან ჩამონატანი ცოტა
რამ მათვეისაც ეწილადებინა ნუცას.

— გავშავდებოდი, მამ, რა იქნებოდა მთელ დღეებს სო-
ფლები სულ გარედ გატარებდით. იქ ისე გარება, ისე გარ-
ება, რომ...

უთხრა ნუცამ ქალაქელ ბავშვებს და უველას საოსტანდ
წაუმტკვრია სოფლიდან ჩამოტანილი ნაზუქი და თანაც დაუ-
მატა: — სილიც ჩამოვიტანე და მერე გაჭირეთ.

— უჲ, უჲ, რა გემრიელი ერულა სოფლის ნაზუქი! —
ცემუტავდნენ და ელაქუცებოდნენ ბავშვები ნუცას...

— ერთი თქვენ მითხარით, როგორ გაატარეთ დრო აქ
ზაფხულში?

— უჲ, ძალიან მოწევნილები ვიქავით.

— სიცხით კანაზამ დავისრჩენით.

— მერე, სულ არსად წასულხართ?

— არა, დედა გვიშლიდა. სადამოობით თუ წავიდოდით
სადე, — უთხრეს ბავშვებმა.

— ოჲ, რა მეცოდებით, რომ თქვენც ჩემსავით სოფელში
არ იქავით. ისე ხშირად მაგონდებოდით სოლმე. იქ ისე კარ-
გია, ისე კარგია! ქალაქელი ბავშვები თავის დღეში ვერ წარ-
მოიდგინთ, რა სასიამოენოა სოფელი ზაფხულში.

— ვიცი, განა არ ვიცი, გამოიგონა, სოფელში სულ
დარიბი ხალხია. იქიდან არ ჩამოდიან სოლმე სულ აბრა-
მელები, კონკები გახვეული გლეხები! — უთხრა ცხვირის აწე-
ვით მედუქნის პატარა გოგომ, რომელიც ნუცას ლაპარაკს
ეურს უგდებდა.

— დარიბები, მერე რა? დარიბები ქალაქებში-კი ცოტანი
არიან? მართლია, იქ დარიბებიც არიან, მაგრამ იქ ეს და-
რიბება თავისუფლადა სცხოვრობენ. სულ დარიბებსაც-კი ხი-
ლის ბაზები აქვთ და თავისუფლად დანავარდობენ შეიგ ბავ-
შვები. თუმცა დარიბები-კი არიან, სულ ტიტლიანები დარ-
იბიან საცოდებები, მაგრამ, სჯობიან, გიამბოთ, როგორ გავა-
ტარე ზაფხული სოფელში. მოელ დღეს თითქმას სულ გარედ
გატარებდი დროს: დილით ადრიბ ვდევბოდი და ბებიას სულ
იმას ვეხვეწებოდი, ეთველთვის ადრე გამაღვიძე მეთქი. მი-

ევარდა მეტად, როცა-კი მიუსწრებდი დილით ქათმების შესჭრილება
ვას. მთელი გროვა წვრილ-ფეხი ძემომებვეოდა: ქათმები, ქა-
ნირა, ნაცარა, მეტრულა, ბატი, იხვი ინდოური, უ-უ-უ, ისე
ძემომებვეოდნენ გარს, გეგონებოდათ, კარიათ; მუაძი ვიდექი,
საკენეს უერიდი, ბებია-კი გაიძახოდა: „ჭუ, ჭუ ჭუ, ჭუ, ჭუ,
ჭუ! ახლა უნდა იცოდეთ, როცა დილით სოფლის ნახირს
გამორეგავდნენ სოლმე, ისეთი სმაურობა ასტედებოდა. წინ
ნახირს პატარა ბიჭი მიუძღვის და გაჲევირის: „გამორეგეთ
ნახირი! ეველანი დაფაცურებულია ერეკებიან ნახირს. გამოი-
ძლება ათანფერი საქონელი: დადი დარბასელი ძროხა სია-
მეით მიაბიჯებს ფეხებს, რქებ-დაგავებული ფურ-ეამეჩი ზღა-
ზვნით და კუდის ქნევით მიუუბალობს, ფაფარ-დაერილ დედა
ცხენს უქან ჭისგინით მისდევს პატარა კვიცი, ბოხოლები
კუდ-გაბზეკილი მიკუნტრუშმობენ, ღრუტუნა ღორებიც გროვდე-
ბიან ერთად და საერთო მხარეულებით მიდიან მწვანე მინდვ-
რისაკენ. მიუგარდა დილით ნახირის გარეკის დასწრება და
ბოხოლების წევალება წევალის მითავაზებით, მაგრამ ერთხელ,
უნდა იცოდეთ, ჩემგან გაბეზრებულმა ბოხოლამ ისეთი ამომი-
ბუჩხავა, რომ ცხრა აღლუ გადამასტუნა. მასუკან სულ ვერ-
დებოდი. იცით კიდევ რა? ჩვენ წინ ფართოდ გაძლილი ბაღი
იყო სულ მწვანით შემოსილი, ალუბლისა და თუთის ხეებით
დაჩრდილული. მთელ დღეებს იქ ვატარებდი. როცა-კი მომება-
ნიდნენ, ალუბლის ან ძაქარა თუთის კენწეროდან მიგცემდი ხმას
„ვიყლიუთ“. ამიტომ დამარცხეს „ვიყლიუთ“.

— მერე არ გემინოდა ჩამოვარდნისა სიდან? — დაეკითხა
თამრო.

— სულაც არა, თანდათან ისე მაღლა შევეხუი ასვლას,
რომ ხის წვეროდან მთელ ქვეეანასა ვხედავდი სოლმე.

— მერე, ჩვენ ქალაქსაც ჰქედავდი?

— არა, ქალაქს იქიდან დიდი მთები აყარია. მაგრამ იცით

კიდევ რა? ცივ წებლაშიც ვბანაობდი. ისეთი კარგი გამოიყენებოდა ვისწავლე, რომ გავძლიდი ხელებსა და გავცერდებოდი, ნამ-და დიდი ისვი გეორგებოდით, ზოგჯერ, აი, ესე, თვალებ და ხეჭული დავერუუმელავდებოდი და სულ დაჭიმალებოდი წეალძი.

— წეალძი სმარად ისრჩობიან ხოლმე, არ გემინოდა, ნუცა? — ჰკითხა გაკვირვებულმა მეღომ.

— არა, ის წეალძი ისეთი პატარაა, რომ მე ვერ მომერეოდა.

— მერე, მერე, სხვა რაღაა სოფელში? — ეკითხებოდნენ ბავშვები ნუცას.

— იქ ეველაფერიც არის: მინდვრებში შშვენიერი ლამაზი ევგაილებია, ათას გვარი ფრინველი და მწერი. მართლა, მე პეტელების კოლექცია შევადგინე!

— პეტელების კოლექცია! რა არის კოლექცია?

— დამაცადეთ, გეტშვით. პეტელების კოლექცია არის სხვა და სხვა გვარ პეტელების კრებული, ანუ ნიმუშები. პეტელები მრავალ გვარი კიძისაა. ვიქერდი მინვდრად და ახლა დახოცილები მიწუვია კარდინალი. ზოგი ისეთი ლამაზებია და და-სატულები, ზოგი დიდია, ზოგი პატარა, ზოგიც სულ თეადთ უწინარი: თეთრი, ლურჯი, ეკითხელი, წითელი და მრავალ ფერისანები არიან. მაგრამ, მოიცადეთ, გაჩვენებოთ, — ეთხოა ნუცამ თავის ტოლებსა და გაიქა სახლისაპერ, საიდანც გა-მოარბეინა შეკრული ეუთები.

— აი, უურეთ. ეს სულ პეტელების ნიმუშებია. ამასა ჰქვიან პეტელების კოლექცია.

— უჲ, უჲ, უჲ, რამდენ ნაირია! — შესძახეს ბავშვებმა და გაკვირვებულები და ჰურებელნენ პეტელების კრებულს.

— ერთი უურეთ, რა დიდი დასატული ფრთხები აქვს და თეადლებსაც აბრიალებს! განა ცოცხლები არ არიან?

— არა,— უთხოა ნუცამ, სულ მქვდრები არიან. მატერიალური
სსეულის ნაწილები სულ ადგილად ხმება და იფშვნიტება,
ამიტომა მაქვს ასე ფრთხილად ბაბამი შენასული. აი, ესწი ი
უნდა ნახოთ, მაშინ. როცა ცოცხლები მინდვრებს დაჭიარუა-
რებენ გუნდ-გუნდად. ზოგი მაღლა, მაღლა ჰაერში სრიალებს,
ეირმაღლა გადადის, ზოგი სულ განაბული ლამას ევავილებს
სწუწნის ტკბილ წევნისა და ხარობს, მაგრამ მეტად მნელია
მათი დამორჩილება, ისარიგით სრიალებენ ჰაერში. უქ, რამ-
დენი მირბენია მათ დასაჭიროდ!

— ღმერთო, რა ლამასებია! რა კარგები და დახატულე-
ბი! — ჰელიობრძენ ბავშვები და გულ-მოდგინედ შინ ჯავდნენ
ჰეპელებს.

— კმარა. ახლა სულ სხვას გამეგნებთ, — უთხოა ნუცამ
ბამჟებს და დახურა ჰეპელების ეუთი.

— ამას უეურეთ, აბა, გამოიცანით ეს რაღაებია? — ჰატა-
რა ეუთიდგან გმოაწერ სუცამ რაღაცა თიხის ჰაწია ნახელოვ-
ნები.

— ჸო, ეს ჰატარა ჩაფია, ეს? ეს რაღა?

— ეს გახლავ-ი ქოთანი, რაშაც სოფლელები ლობითს
ხარშავენ, ეს ჯამი, ეს ლანგარი, ეს კეცები, ჰადებს რომ
აცხობენ.

— ხა, ხა, ხა, ხა! მერე მაგრე ჰატარების ხმარობენ?

— არავერდი არ ხმარობენ. ესენა მეტად ჰაწიები არიან.
ხომ სედავთ, ეს არის სოფლელ გლეხის ჰურკლის ნიმუშე-
ბი. ნამდვილები ბევრით მოხრდილებია ამათზე.

— რა ჰაწაწინები არიან, რა კარგები! ტაღახისანი არიან,
მესმასა სოფომ, როდესაც კარგად გასინ ჭა ჰურკელი.

— ჸო, ეს ნახელოვნები თიხისაგან არის გაკეთებული.
მაგრამ ამას ასე არა ხმარობენ; რომ უფრო მაგარი გამო-



ვიდეს, სწორები ცეცხლში. გამომწვარი თისა ძალის მარტინ მარტინი
და ადვილად არა ტერება.

— მერე ვისი გაყეთებულია ეს პატია თისის ჭურჭელი?

— სოფლის ბავშვები აკეთებენ. მართლა ისეთი უნიჭო და
უსაქმერები კი ნუ გვიჩინ. სმირად ჭბამავენ დიდებს და ცოდნა-
სა და სელოვნებას იჩინენ. სულ ცელქობა-ლაზდანდარობას კი
არ უნდებიან. ზოგჯერ შეიკრიფებიან ერთად, სახლობა — ოჯა-
სიანობას თამაშობენ, პატარა მიწის სახლებს აშენებენ, ისე
კარგა, გეგონება, მართლა სახლიათ. დაჭვოფენ ოთახებად, ბუ-
ხარს აუმჯნებენ და ცეცხლსაც კი აანთებენ ძიგა. პატარა თო-
ნეს ისეთის სელოვნებით გააკეთებენ, ცეცხლს მოუკიდებენ და
ტალასის ჟურებს ჩააკრავენ. რომ იცოდეთ, რა ჭერიანები არიან,
მაგრამ ღარიბები და საწელება-კი არიან; იმათ მშობლებს
არა აქვთ შეძლება ჟური აჭამონ, ჩააცეან, სულ ტიტოლები
და დაკრიკილები დადიან.

— წიგნის კითხვა არ იციან განა? — ჰქითხა თამრომ ნუ-
ცას.

— არა, მაგრამ იცით რა? ერთი აზრი მაქვს, სამერმი-
სოდ რომ დავბრუნდები სოფელში, მინდა კითხვა გასწავლო.
მე კარგად მეცოდინება კითხვა და დედაც არ დაშიშლის. თქვენ
კიდევ შეაგროვეთ სურათებიანი წიგნები და ვამატანეთ. ოჭ,
როგორ გაუხარდებათ სურათიან წიგნების ნახვა?

— მართლა, მართლა, რა კარგი იქნება! — შესძახეს სი-
სარულით ბავშვებმა და ფეხზე აღარ იდგნენ. მხოლოდ ნუცა
დაფიქრებული აღაგებდა თისის სელოვნების კოლექციას პა-
ტარა ეუთმი.

— ოჭ, რა კარგი იქნება, რა კარგი! თქვენ რომ წიგნებს
გაუგზავნით, ისინი თავის გაყეთებულ ჭურჭლეულს გამოგი-
გზავნიან.

— მაგრამ ახლავკი, ბავშვებო, ღროა გავიმეორთო ჩენიდ
გაკვეთილები, ხვალ პირველი ენგენისთვეა,—სთქვეს ერთხმად
ბავშვებმა და წამოიძალნენ.

— ნუცა, მალიან კარგი იქნება, რომ შენი ლამაზი ჰეპუ-
ლები ხვალ სკოლაში უჩვენო დანარჩენ ჩვენს ამხანაგებსაც,—
მოუბრუნდა თამრო ნუცასა.

— რახაკვირველია, ჩემ კოლექციებს მასწავლებელსაც ვა-
ჩვენებ, — უბასუსა ნუცამ და გახვეულ ეუთებით სახლისაკენ
გასწია.

ილო.





როგორ გაჩნდა ქვეყნად ეირაფი.

(თარგმანი)



ძმდენისამე საუკუნის წინად, აფრიკის უდაბ-
ნოი სკეოვრობდა პატარა რესპი ცხო-
ველი, რომელსაც ეწოდებოდა ანტილოპი.
ღმერთს მასთვის არ მიეცა არც ლომას
ძლიერება, არც სპილოს ახოვნება, არც კამების რქები და არც
ლუთაბრძის ბასრი ბრქებულები. არ იცოდა კურეა, არც ფრენა
და არც ხეზედ ასკლა. როცა რამ სიფათი მოსალოდნელი იყო,
მაძინადეს მოკურცხსლავდა, რაც მაღი და ღონე ჰქონდა, თავის-
მარდის ფეხებით.

ანტილოპი თავის ბედისა ქმაროვილი არ იყო. ერთს მშვე-
ნიერს დღეს დაინახა უდაბნოშა ჭაცი და მოიწადინა ახლო-
მისელა, დათვალიერება, დაკვირვება იმ ახირებულ არსებისა,
რომლის შესახებაც ბევრი რამ ჰქონდა გაცონილი. ამ ღრის

უეცრად კაცის მახლობლად დაინახა ლომი, რომელიც სტუდენტის რთხილით ეპარებოდა და თავის მსხვერპლს დაცხომას უპირებდა. აქ ანტილოპა მოაგონდა თავის დედის შეძლევი დარიგება: „როცა შემთხვევით დაინახო, რომ ლომი უპირებს მოგვლას ვისმე, უძველეს, გააფრთხილე. ამას მოითხოვს უდიბნოს ადათები და კეთილშობილური გრძნობათ. დედის ასეთი დარიგება მტკიცებ იქნა მის კონებაში აღბეჭდილი და, აი, კიდევაც, დაინახა თუ არა, ლომი ეპარება კაცათ, ანტილოპა დაიგვირია ალომი, ლომით“! და თანაც ისე ჩაუქროლა ახლო, რომ თავისი თეთრი ბამბურა კუდი, როკორც მარათ, ისე ჩაუქრითლა. კაციც, რასაკვირველია, მასვედა, ასეთ გაუთხილების წელილობით, რა ხილათიც მოელოდა და ავარდა ხესე, ასცდა დაღუშვას. როცა ლომი ჰირში ჩალა გამოვლებული და ხახა-მშრალი მოშორდა იმ არე-მარეს, კაცი ჩამოვიდა ხიღვან, დაუმახა ანტილოპა, მოეცერა და უთხრა:

— ჩემო პატაწა კეთილოცხოველო ანტილოპა, შენ გადა-მარჩინე იმ საშინელ ბოროტ მხეცს და ას ზა შეგიძლია მთხოვო კილდოდ, რაც გინდა, რასაც მოისურვებ; ამასთანავე კაცი იცოდე: მე გარ წინასწარმეტეველი ბლაბისა და, მაშასადამე, შენის სურვილის ასრულება არ გამაჟირდება.

ანტილოპა ჩასუსად აი რა უთხრა:

— როცა აღაბემა გააჩინა ცხოველები, მგონი, მე სრულებით დაეგავიწედი და ამიტომ არ დამაჯილდოვა არც ბასრის ბრწევალებით, არც მწვეტიანის ექვებით, არც რქებით, არც გრძელი კუდი მომცა ბუზების მოსაგერებლად და არც არაუკერი თავდასაცავი იარაღდი; არ მომცა უნარი არც ცურვისა, არც ფრენისა, არც ხესე ასვლისა; შენ გევედრება, ჩემთ კეთილოცხინასწარმეტეველო, მოაგონო ჩემი თავი იმ შენს დმერთს ალლაბჭეს, მოიღოს წელილია და მომცეს ის, რაც უკრო მე-საჭიროება.

— მაღიან კარგი, — უთხრა წინასწარმეტეველმა, — ასეც არ შეიძლება, რომ აღაქმა უკელაფრით ერთბაშად და-გაჯილდოფის: თუ მოგცემს ახოვნებას, მაძინ რაღა საჭიროა შენთვის ხეზედ ასკლის უნირი, ან და კიდევ მოგცემს, მაგა-ლითად, ლომის მლიერება; მაძინ სრულებით მეტი იქნება სიმარტე ფეხებისა

მაგრამ წინასწარმეტეველის რჩევამ ამაოდ ჩაიარა, პატა-რა ანტილოპი არას უომობდა და გადაჭრით ითხოვდა რქების, ახოვნებას, მლიერებას და გრძელ გუდს თავმომაბეზრებელ ბუზების მოსაკერძობლად.

— აი, მაძინ, — ამბობდა ანტილოპი, — სრულებით კმარ-უილი ვიქები ჩემის ბეღისა. წინასწარმეტეველს მეტი რადა დარჩენოდა, უნდა დასთანხმებოდა და დაეთანხმა კიდეც.

— კარგი, იუს ისე, როგორც შენ გსურს, — უთხრა წი-ნასწარმეტეველმა, — მაგრამ ერთს გირჩევ: მიანდე შენი თავი დროს ზედგავლენას, საუცუნოებით გარდაქმნა-განვითარებას.

ანტილოპმა შეასრულა უოკელივე ისე, როგორც უთხრა წინასწარმეტეველმა და მართლა კიდეც შეატეო, მისდა სისი-სარულოდ, რომ შეიქმნა მოსულ-მოევანიში, ღონიერი ცხო-კელი საუცხოვო გუდით და ერთი წევილი რქაც ამთკეიდა თავზე.

რამდენისამე სნის შეძებ, თავის ბედის კმაროვილი ან-ტილოპი ჰქედავს, რომ სრულ ბედნიერებამდის ჯერ კიდევ ბევრი რძე აკლია. მისი ესლანდელი დიდი ტანი მოითხოვს გაცილებით მეტს საზრდოს, ვიდრე წინად; ამიტომაც იძელე-ბული იუ მუდამ სადმე ატესილ ჭალა-ტეკებისათვის შეეფა-რებინა თავი სიუბთის ასამორებლად. უბრძლო ჯაგები და ბუჩქები აღარ კმაროდა მის ახოვნებას დასაფარადად; თანაც სირბილი აღარ ეძარვებოდა წინანდებურად ტანის სისმი-მის გამო, ასე რომ ძუღამ შიმსა და მოუსვენობას გრძნობ-



და საწეალი ანტილოპა. ამ გარემოებით იმულებულმა მიმდინარეობა
რთა ისევ წინასწარმეტეველს:

— კეთილდო წინასწარმეტეველო, ვიცი შენი განზრასვა, გინ-
დოდა ჩემი გაბეჭნიერება, რაკი გადაგარჩინე დაღუპვას, თუმცა
ბევრი რამით-კი დამაჯალდოვე, მაგრამ, ვფიქრობ, რომ შეგვ-
ძლო ჩემთვის კიდევ მეტის გაკეთება. ჩემთვის მიუცილებელია
კიდევ ერთი რამ. გევეღრები, ძესთხოვე ალაჟს ჩემთვის გრძელი
კისერი, რომ შექველოს თავის უფლად გადავხედო მიდამოსი,
დავინასო, საიდგან რა ჩიფათი მომელის და უძველო თავს;
ამასთანავე სთხოვე მომიმატოს ფეხების სიმარტე, თორებ ას-
ლანდელი დინჯი სიარული უთუოდ დაძუბავს.

— კეთილდო, მიუგო წინასწარმეტეველმა. — წადი და გაიბანე
დოთოთა მიძღინარეობის წეალძი. ანტილოპა შეასრულა წი-
ნასწარმეტეველის ბრძანება და მართლა მიიღო, რაც სურდა:
მიეცა გრძელი კისერი და მარდი ფეხები.

სურვილი ბესრულდა, მაგრამ შედეგი-კი მოჰქვა ისეთი,
როგორიც სასურველი იყო? არა. და აი რატომ: მადალის
კისრის პატრონ ანტილოპისათვის შეუძლებელი შეაქმნა ბა-
ლასით საზრდოობა. ამას ისიც დაერთო, რომ მოელ თავის
მძიმე ტანით ხმირად ეფლობოდა ჭაობში და საძინლად იტა-
ნკებოდა სიარულის დროს. ამიტომ დაიწერ საზრდოს ქებია
უფრო მშრალსა და ტეიანს ადგილებში.

ერთხელ ზაფხულმა მოიტანა ისეთი გვალვა, რომ ხებს
სულ გასცვიედა ფოთლება. ანტილოპს მაღვე შემოაკლდა სა-
ზრდო, შესჭამა, რაც-კი რამ ძირს ემოვებოდა, მოელოდა აუ-
ცილებლად სიმძილისაგან სიკედილი. აქაც მოაგონდა გაჭი-
რების ტალკვესი წინასწარმეტეველი და გაემურა მის საძებ-
რად. იპოვა თუ არა, შესთხოვა კისრის უფრო დაგრძელება,
რომ შესძლებოდა მაღალ ხების ტოტების თავს უფლად წა-
რანება.

— ამის მაგივრად,—დაუმატა ანტილოპა,— ე მარტო დაუბრუნო ალლაჟს ეს უმხგავსო და ხემთვის გამოუზადევარი რქები, ოდონდ მომემატოს რამდენიმე გოჭი კისრის სიციძე.

— კარგი,— უბასუსა წინასწარმატეველმა, — გირჩევ მხოლოდ გაისეიროთ იმ ბარში, რომელისაც ეწოდება ბარი გარდა ქმნისა. ანტილოპი ასეც მოიქცა. დაუგრძელდა კისერი, რომლის საძვალებითაც ასლა სწვდებოდა ხების კენწეროებსაც; მისთვის გამოუსადევარი რქებიცი დაუბატარავდა, გაუქრა და ძლივს-და ემნეოდა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ანტილოპა კიდევ მიძართა ახალის თხოვნით წინასწარმეტეველს. გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ მისთვის მოღერებული კისერი სრულებით საჭირო არ იქო, რადგანაც დამაღვა მნელად ხერხდებოდა; ამიტომ მოისურვა, ტეავი მთელს კისერზედ და ტანზედ, ევითელი კი არა, ხის ქერქის ფერი შექმნილიერ, რომ ძეუმნევლად, თავისუფლად ეცნოვის ტემპი; ამას გარდა, მისი ოთხი ხლიქიც თითო ფეხზე სრულებით მეტი ბარგი შეიქმნა და შესთხოვა წინასწარმეტეველს თო ხლიქისნობა.

— მაშინ კი სრული კმაყოფილი ვიქნები ხემის ბევრისა, — ამბობდა ანტილოპი.

საკვირველი და გაუგებარი იქო ანტილოპის საქციელი და თან მისი მოთხოვნილებანი! ვერ მიმხვდარიქო, რომ ეკელაზედ საჭირო იქო მისთვის მხდალის გულის გამოცვლა და, აი, სწორედ ეს იქო, რომ მოთმინისა დაუკარგა სულგრძელ წინასწარმეტეველს და ათქმევინა:

— შენი უკანასკნელი მოთხოვნაც იქნება დაკაეთვილებული, მაგრამ კიდევ რომ სხვა აღარა მოითხოვთ-რა, გართმევ მეტეველებასო. — ასეც მოხდა და საცოდეა ანტილოპი დამუნჯდა.

ასლა ეს ცხოველი ტანით ქვეანაზედ ეპელა ცხოველზედ მაღალია, აქეს გაუოფილი თო ხლიქიანი ფეხები, არა აქვს

რქები, არა აქვს სმა, უკედ რომ ვსთქვათ, წარმოადგენს უწყვეტოობას
დაც საძინელებას, უზარ-მაზარს, მაგრამ გული კი შერჩა ისევ
ისეთიცე მოძიმარი, მხდალი, როგორც უწინდელ ჰაწაწა ანტია
ღორს ჰქონდა და დღენი მისის კიბისა დათვლილია. ცოტა
კიდევ და მათი სსენებაც ძღვრ იქნება მზიან ქვეუნის თავია
სუფალ უდაბნოებმა, მამის როდესაც ბევრი მისის გვარის ცხოვ
ველები, რომელიც დამორჩილდნენ თავიანთ ხვედრს, ალდა-
ჲისაგან ნაბომებს, ახლაც ურიცხვები არიან და თავისუფლად
დანავარდობენ ბურიკის უდაბნოებმა.

ელენე.





მზე და მოვარე.

(მოლონს კიდან)



რუბელს ქარმა დაუბერა,
შემოჰყანტა სავსე მთვარეს;
მან თავისი მტრთალი შექი
მიმოჰყინა ეოგელ მხარეს.

ბაგშვი ამბობს: „რად აშექებს
დაძით მთვარე ქვეეანასო?
რად დასწერის სუველაფერს
და მასთან ჩემს ქაგანასო?“

— იმიტომ, რომ მხე მთელი დღე
მოიღალა მეზაფრობითო;

უბრძანა მას შემოქმედა,
 მოისუენოს დაძღვითო.

—
 მაძინ სთხოვა მზემ თავის დას:
 „მმა მმისთვისა — ძავ დღისთვისო,“
 ჩემ შემდეგ შენ გაანათე
 დაბნელებულ ქვეუნასთვისო.“

—
 და გაიგე, ვინ ვის ბრიულიბს,
 უსამართლოდ იჩაგვისო;
 ვინ უძლის ხალხს მოსვენებას,
 ვინ ჭარობს და ვინ ცრემლს ჰდერისო!?”


—
 მთვარემ იდო თავს ქვეუნა
 და გვდარაჯობს ჩვენ დამათო;
 რა მოატანს განთიადი,
 მიდის მმასთან სალამითო.

—
 მზე ამოვა, მთვარეს ჰერითხავს:
 „რად ხარ ასე ფერ მკრთალიო?
 სად რა მოხდა სიავ-კარტე,
 მითხარ, დაო, მართალიო!


—
 მოუყვება მასაც მთვარე,
 რაც კი წნახა, ეველას სრულად...
 თუ რომ დამემ მშვიდად განვლო,
 მზეც ანათებს მხიარულად;

თუ არა და — ჭინწელიანობს,
 მოიუთლებს ქარს, ან წვიმჩს:
 ქვეენის ქარგი ახალისებს,
 სიავე კი სტანავას იმას!

თემ კანდელაკი.



თუთიყუში და პატა.



ნობილი მხატვარი და პირუტევების მოევარული მოგვითხრობს საეურად-ღებო ამბავს კატისა და თუთიყუშის მეგობრობისას.

„ჩემს პატარაობას, სკოლაში მი-
მავალნი უსათუოდ გაფჩერდებოდით
ერთ სახლის წინ, სადაც სცხოვრობა
დაწეს კატა და თუთიყუში. ჩვენ, იმათ
მეგობრობის მაუწერებელნი, სისარუ-
ლით ცას გეწეოდით. გვიხაროდა გან-
საკუთრებით მაძინ, როდესაც თუთიყუში დაუკიველებდა კატას:
„ციცუნი, ციცუნი, ერთი თავი დამფხანე!“ კატაც მედიდურად
მივიდოდა, დიდის სიფრითხსილით დაუწევდა ფხანას, ხოლო
ცალი თვალი ჩვენსკენ ეჭირა, რომ იმის მეგობარი არ და-
ბშეჭოთხო.

ოლღა ჭრელაშვილი.





აქლემის საკუპნაო.

იეჲი საკუჭნაოს ნაძვის ან სხვა რომელი სამე ხის ტოტებზე იკვეთებს. იქ საზამთრო სანოვაგებს, გაკლებს, ანახავს; თაგვი საკუჭნაოს მიწის ქვეშ იძენებს, სადაც ჰურის მარცვლებს, ცურცებს და ფეხებს სამერიალოდ აკროვებს. აქლემის კი თავისი საკუჭნაო ზურგზე აქვს.

აქლემი ცხელ უდინოში სცხოვრობს. იქ, რამდენსამე ას კურსზე, ხმირად ბალახი, მწვანე ფოთოლიც კი არსადა სჩანს. ესელები მარტო ქვა, რიეკ და მმრალი უკითელი ქვიშა ჰურია. ბერიად, მალიან მეირად თუ სადმე ზარარა მდინარე მიჩნრიალებს, რომლის გარშემო ხეები და უვაყილები იზრდება. უდინოში ასეთ ნაცოფიერსა და ამწვანებულ ადგილებს კორდს ეძასიან. ერთ ასეთ კორდთაგანში არაბებს თავიანთა კარვები დაუციათ. იქვე დაიბადა აქლემი. მავი არაბების შვილები ზარარა აქლემის ეთამაშებიან, მიღის დროს თავიანთ მავსა და თმა-სუჭუჭა თავებს მის რბილ კისერზედა სდებენ. ისინიც იმათსავით აქლემის ტებილ რძით იკვებებიან. კოზაკი მალე გაიზარდა, დონიერ აქლემად გარდაიქცა და თავის ბატონ-არაბის ერთგულა მოსამსახურე შეიქმნა. აქლემის მეტად მაგარი, უკმერი ტუჩები აქვს. მაძინაც კი არ იფხაჭნება, როგორ მაგარ, გაკლიან მცენარეებს ჰეგლებს, რომლითაც უმეტეს ნაწილად იკვებება: ბურგა ბალახს წვერიან ეილებით ან აკაციის ხის ნებსებიან ტოტებს. აქლემი უოუელთვის სულ უბრალო საკვებითაც კი კმაჟოფილია და ისე იზრდება და დო-



ნიერდება, რომ აუარებელ ბარები-ბარსანას და მხედარს თავისუროვანების ზურგით ბეჭილად ატარებს. ასე ცოტა საჭმლით არა თუ მარტო სისხლი და სორცი ემარება, არამედ საკუჭნაოძიაც ენა-ხება იმ ღროისათვის, როდესაც თავის ჰატრონთან ერთად შორს ქვეუნებისა კენ, უდაბნოს გზით რამდენიმე კვირა მგზავრობა მოუხდება, სადაც არავითარი მცნარეულობა არ არის. იმავე საზრდოს წეალობით, ტანძი ქონი უჩნდება; ეს ქონი იყრიბება ზურგზე, კუზძი. აფრიკის აქლემებს ერთი კუზი აქვთ, სხვებს კი, რომელიც შეა აზიაში სცხოვრობენ,—ორ-ორი კუზი. პირველ აქლემებს ერთ კუზიანებს ემასიან, მეორებს—ორ კუზიანებს. გარედგან კუზი სქელ, სშირ და გრძელ მატელით არის დაფარული, შიგნით კი ნაზი, თხელი, დაცხრილული კანია, ღრუბლის მსგავსად, მხოლოდ აქ ცარიელი ადგილები უფრო ჸატარა და უოველ მხრივან დაფარულია. ერველი თხელი, დაცხრილული კანი—აქლემისათვის ძემნა-ხელ-დამზოგველი უჟრაა. აქ უოველ ღღე ცოტ-ცოტა ქონი ემატება. თუ აქლემს საჭმელი საქმაო აქვს, მაშინ კუზიც მაღალი და მაგარი აქვს. მხედარი ამ კუზზე, როგორც ბალიმზე, ამაუდ ზის. გვერდებზე საქონლით სავსე უუთები, სანოვაგათ სავსე კალათები და წელით სავსე ტაკები ჰქიდია. ზურგის საკუჭნაოს გარდა, აქლემის ტანძი მეორე საკუჭნაოც იპოვება წელისათვის, რომელიც ცხელ ქვენები ასეთი მიუცილებელი საჭიროებაა. კუზს ახლო მრავალი ბუბტისებური კანები აქვს, ჸატარა ტიკებივით, სან იღება, სან ისურება. როდესაც აქლემი მდინარის ინარად მივა, სათცარ ბევრ წეალს სვამს. კუზიც ამ წეალს სწორებ იმ ღროისათვის ინახავს, როდესაც აქ კამაცხოველებელ შასმელის მოვნა შეუძლებელი შეიქნება.

აი, ქარავანი ძორის სძმეზავროდ დაუწეო. წინამდღოლი, მხის შემწებით, თვალმიუწვდენელ ქვამიან უდაბნოში გზის იყვალევს. მაგრამ მგზავრობის ბოლო ჯერ კიდევ ძორის არის, სანოვაგას

დღითი დღე აკლდება, გაფრთხილება და დაზოგვა უნდა სამართლის მიერ და იქამდის მიღის, რომ პატრონს აქლემისათვის რაძე-ნიმე ინდის ხურმის დაფენილ თესლებისა და ბეწნის თრი-სამის წევებლის მიწოდება თუადა შეუძლიან. ტიკებში წეალი გამოილია. ქარავანი თითქმის იღუპება წეურვილისაგან. ამ დროს აქლემი ქონსა და წინდაწინვე მომარავებულ წეალს ხმარობს. მართალია, აქლემის ქუზა პატარა და სუსტია, წეა-ლი იმასაც თითქმის შემოელია, მავრამ მაინც აქლემი მაღ-ლონეს არ ჰყარგავს და თავისი პატრონი მიჰევს მძიმედ. მოხდება ხოლმე, რომ აქლემი ქარავანს სხვანაირადაც ისხნის განსაცდელისაგან. აქლემი ნოტიო ჰაერისადმი მეტად მგრძნო-ბიარეა. როგორც კი თავის აწეულ ცხვირით იგრძნობს ამ ნო-ტიო ჰაერს, ფეხს აუჩქრებს და, რამდენისამე ხნის შემდეგ, რო-გორც თვითონ პირუტევი, ისე დაქანცული შეედარი მოსეენებას ეძლევიან ჩრდილებ ქვემ, ნაეოფით დატვირთულ სეებ შორის, ცოვსა და ანკარა წეაროს პირბად, რომლის გარშემო მწვანე, ნორჩი ბალახი საამურად ბიბინებს.

დ. ყრფიანი.



გ ა მ ტ ვ ა ნ ა

ორი მეზაერი მიღიოდა. ერთს ერთი პური ჰქონდა, მეორეს —ორი, იმავე წონისა და დარსებისა. პურის საჭმელად ორი დასხვნენ, მესამე მიფიდა და სთხოვა, პური მაჭამეთ, ფულს მოგაროვეთო. ერთი პური მისცეს და სამი ძაური კადასხდევინეს. ორგორ გაიეთ ეს ფული თომა მეზაერმა?

რ ე პ უ ს ი

(წინ მოღიერილი კ. დარაშვილისაგან)



80-13 №-ზი მოთავსეაულ ზარალის, არითობიულ
ამოცანის და რჩუსების აღსა:

- 1) სიმინდი.
- 2) ოთხი ჩიტი და სამი ტოტი.
- 3) ოთხი ასოთი დასწერეთ ზელი ბალახი.
- 4) მამა ჩიბუს ეწევა.

ნაკადულის რედაქციაში და წ.-პ. სახ.

მაღაზიაში იუიდება შემდეგი წიგნები:

ზოგარები, ვილეგმ და იაკობ გრიმისა, ნაკა-
დულის რედაქციის გამოცემა, ფასი . . 30 გ.

ცოშის თავი გადასავალი, თხზულება, მარკ-
ოვენისა, გამოცემა ნაკადულის რედაქ-
ციისა, ფასი 50 გ.

რას გვიამობს წოაზი. თხზულება ბერნა-
რიუსისა, გამოცემა ნაკადულის რედაქ-
ციისა, ფასი 20 გ.

მიღება ხელის მოჭერა

1910 წლის იანვრიდან 1911 წლის იანვრამდე.

საქართველოს სურათებისა და ფერწალი

ნატარელი

რელიგიური მიღება

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა:

24 წელი გურიანი „ნაკადული“
ლი „მირე წლიური მომწერლებს მოხატვის 12 წელი გურიანი „ნაკადული“
მოხატვის მფრინავის.

გარდა ამისა 1910 წლის ხელის-მომწერლებს პრემიად მიეცემა:

I. დადამითა და კუდიანი ვაჩსევლაში, —ზღაპარი ეკადულისა
ეჭვის სურათი. —II. მარჯნიშვილი, —ზღაპარი ეკადულისა თანხ სურათი.
III. თორიმიშვილი და, —ზღაპარი ეკადულისა ერთი სურათი. —IV. მარ-
თული გაატვრული ასომავი კუბიკიზმი.

ეკადულის ხელმძღვანელობს ს უწევს საგანგმოო არჩეული სარედაქ-
ციონ კუმისია.

უასის ეკადულისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან.
სიმზღვარ გარედ: წლიურად შეიცილ მანეთი. ნახევარ წლით თოხი მან.
მცირე წლიური თავების 24 წიგნი სამი მან. —შოზრდილთათვების 12
წიგნი სამი მან. —სედას-მოქერა შეიცება წლიურად და ნახევარი წლით.
უკულის შემოტანა შეიძლება ნაწილით იმულად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალო-
ვის სახ., № 8, ყველა დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ სახოგადოების წიგნის შალა-
ზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

კისაც გურიანის ნომრები დაკლება, მიმართონ აგენტს ანუ
რედაქციას, არა უგიონეს ერთის თვისა.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი: თბი. პ. ი. თუმანიშვილი.